

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომებზე 2019 წელს  
განსახილველი საკითხები**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - 2019 წლის იანვრის თვე;
2. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში მოხელეთა კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი - 2019 წლის თებერვლის თვე;
3. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი - 2019 წლის მარტის თვე;
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ აფხაზეთის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“- 2019 წლის აპრილის თვე;
5. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 სექტემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;
6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტები - პერიოდულად.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის  
2019 წლის აქტივობები და ღონისძიებები ვადების მითითებით**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს იგეგმება:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ დევნილობაში მიღებული მოქმედი ნორმატიული აქტების კრებულის სისტემატიზებული ვერსიების ბეჭდვითი სახით გამოცემა (პირველი კვარტალი).

**დებულებით გათვალისწინებული ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად:**

1. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალშემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელშეწყობა და მისი სრულყოფა; საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, სათანადო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება (პერიოდულად);

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა; აფხაზეთის ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენა, ხოლო სამართლებრივი ექსპერტიზის

შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე კონკრეტული წინადადებების შემუშავება და წარდგენა **(პერიოდულად)**;

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების გამოქვეყნების უზრუნველყოფა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე **(პერიოდულად)**;

9. დეპარტამენტის ოფიციალური საიტის პერიოდული განახლება. მათ შორის:

ა) სისტემატიზირებული აფხაზეთის კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განთავსება, მათი ელექტრონული ფორმების ხელმისაწვდომობა;

ბ) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების, მათ შორის ადამიანთა უფლებების დარღვევების თაობაზე ინფორმაციის, მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ვითარების შესახებ ანალიტიკური სტატიების განთავსება;

გ) დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ კვარტალური ანგარიშის შემუშავება და ელექტრონულად განთავსება;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება.

### **სოციალური და იურიდიული მიმართულებით ტრენინგ-სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება შემდეგ თემებზე:**

1. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა **(პირველი კვარტალი)**. ამასთან, ახალგაზრდა, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით სტაჟიორებისათვის პროფესიული უნარ-

ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა **(პერიოდულად)**;

2. სიახლეების გაცნობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სამსახურის გავლის წესში **(პირველი კვარტალი)**;

3. დევნილთა სოციალურ - სამართლებრივი პრობლემატიკის მიმოხილვა და გადაჭრის გზები **(მეორე კვარტალი)**;

4. ეფექტური კომუნიკაციის უნარი **(მეორე კვარტალი)**;

5. კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივები საქართველოში (აფხაზეთი, სამაჩაბლო) **(მესამე კვარტალი)**;

6. სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის კონსტიტუციური -სამართლებრივი ასპექტები **(მეოთხე კვარტალი)**;

7. სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით ორგანიზაციული, მეთოდური და სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების მიმოხილვა; კანონშემოქმედებით საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე ყურადღების გამახვილება სხვადასხვა მიმართულებით **(პერიოდულად)**;

8. სამართლებრივი პრობლემების განხილვისა და სასამართლო გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება **(პერიოდულად)**;

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა **(სისტემატურად)**;

10. სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით დევნილი მოსახლეობისათვის უფასო სამართლებრივი კონსულტაციების გაწევის მიზნით გასვლითი ღონისძიებების უზრუნველყოფა. კერძოდ,

**- პირველი კვარტალი:**

იმერეთის რეგიონი (ქუთაისი, წყალტობო, სამტრედია)

ქ.თბილისი, წყნეთის გზატეცილი - ბაგების სტუდ-ქალაქი

ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა 37-ში - ყოფილი სტუდ-ქალაქის ტერიტორია;

**- მეორე კვარტალი:**

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი (ზუგდიდი, ჯვარი, ფოთი)

ქ.თბილისი, გმირი კურსანტთა ქუჩაზე მდებარე „აკადემია“

ქ.თბილისი, სასტუმრო „ბახტრიონი“ წყალსადენის ქ. N 77;

**- მესამე კვარტალი:**

აჭარა-გურიის რეგიონი (ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი)

ქ.თბილისი, თბილისის ზღვა - ყოფილი პანსიონატი „ქართლი“

ქ.თბილისი, თბილისის ზღვაზე არსებული „ჰუალინგი“-ს დასახლება;

**- მეოთხე კვარტალი:**

ქვემო ქართლის რეგიონი (გარდაბანი, ვაზიანი, რუსთავი)

დაბა წყნეთი

ქ.თბილისი, პეკინის ქუჩის #41,44 არსებულ საერთო საცხოვრებლებში (ხიბლი).

### **ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით იგეგმება:**

1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებში მოხელეთა შეფასების პროცესის მოქნილობისა და ეფექტიანობისთვის იგეგმება ოთხმეთოდიანი შეფასების სისტემის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს დარგობრივი ცოდნის შეფასებას, დასახული მიზნების შესრულების შეფასებას, რათა დეტალურად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მიზნები, შესრულებული სამუშაოს ხარისხი, დაისახოს გეგმები და ღონისძიებები თანამშრომელთა და მათ უშუალო ხელმძღვანელთა შედეგების გაუმჯობესებისათვის (პირველი კვარტალი);

2. პროფესიულ მომზადებასთან და გადამზადებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა (პირველი კვარტალი);

3. საჯარო სამსახურის ბიუროსთან კოორდინირებული მუშაობით ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების საკითხების დახვეწა (პერიოდულად).

### **ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება და საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

### **აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს მიერ 2019 წლისთვის იგეგმება:**

1. საარქივო საქმიანობის არსთან, მიზანთან, მნიშვნელობასთან და მოქმედ საარქივო კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა (**მეორე კვარტალი**);

2. აფხაზეთის საარქივო ფონდის ფორმირებისა და დაკომპლექტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გეგმიური ტრენინგის ჩატარება არქივის სამმართველოს წყარო-დაწესებულებებისთვის (**მესამე კვარტალი**);

3. არქივის სამმართველოს 6 (ექვსი) წყარო-დაწესებულების საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმება. კერძოდ:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი;

გ) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი“;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღა“.